ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

განკარგულება:**g-15. 152335311**

თარიღი:**19/12/2023**

ავარიული სახლის ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 04 ოქტომბერს N10/1423277387-14 განცხადებით მომართა შპს ,,ანგისა ბლექ სი კონსტრაქშენმა'' (ს/N 445714549) და ითხოვა ავარიული სახლის ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, სამშენებლო ტერიტორიაზე დროებითი ხელშემწყობი ღონისძიების სახით - განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდა; კერძოდ, კომპანია კისრულობს ვალდებულებას მოახდინოს ქალაქ ბათუმში, გ.კვინიტაძის ქ.N28-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ N05.32.09.236) არსებული ავარიული სახლის დემონტაჟი (სახლის ავარიულობა დადასტურებულია შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნით) და დააკმაყოფილოს ავარიული სახლის მესაკუთრეები, საცხოვრებელი ბინებით; სანაცვლოდ მოთხოვნილია: ქ. ბათუმში, ანგისის I შესახვევი N73-75-75-75ბ/ჰელიმიშის ქ.N70-ში (ს/კ. 05.32.13.309; 05.32.13.503; 05.32.13.504; 05.32.01.783. 05.32.13.308) დაგეგმილი მშენებლობისათვის განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გადამეტება - 15,0-მდე.

წარმოდგენილი განცხადება განხილული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 23 აგვისტოს Nბ14.14223511 ბრძანებით შექმნილ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“ გათვალისწინებულ სათათბირო საბჭოზე.

აღნიშნული საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, გაცემული იქნა დადებითი რეკომენდაცია. მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების სანაცვლოდ მოთხოვნილია ქალაქ ბათუმში, ანგისის I შესახვევი N73-75-75-75ბ/ჰელიმიშის ქ.N70-ში (ს/კ. 05.32.13.309 05.32.13.503. 05.32.13.504 05.32.01.783. 05.32.13.308) დაგეგმილი მშენებლობისათვის განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის - 15,0-მდე გადამეტების შესახებ.

შესაბამისად, პროექტის განხორციელებით მიიღწევა რამდენიმე მიზანი:

ა) მოხდება ქალაქ ბათუმში, გ.კვინიტაძის ქ.N28-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N05.32.09.236 არსებული ავარიული სახლის ათვისება და ავარიული სახლის მესაკუთრეთა დაკმაყოფილება;

ბ) ქალაქ ბათუმში, ანგისის I შესახვევი N73-75-75-75ბ/ჰელიმიშის ქ.N70-ში (ს/კ. 05.32.13.309 05.32.13.503. 05.32.13.504 05.32.01.783. 05.32.13.308), სადაც არსებული ქალაქმშენებლობთი პირობებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება, ხდება კოეფიციენტის გაზრდა 15,0-მდე;

აღნიშნულის სანაცვლოდ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მშენებლობის ნებართვის აღების პარალელურად საკუთრებაში გადაეცემა შენობა-ნაგებობის გაზრდილი ფართობის არანაკლებ 10%-სა, სასარგებლო ფართობის სახით, რომელიც გამოყენებულ უნდა იყოს სოციალური მიზნით, ავარიული ბარაკული ტიპის საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 141-ე მუხლის 23-ე პუნქტის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში შექმნილი სათათბირო საბჭოს გადაწყვეტილებებისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დაკმაყოფილდეს შპს ,,ანგისა ბლექ სი კონსტრაქშენი“-ს (ს/კ 445714549) წინადადება და ქალაქ ბათუმში, ანგისის I შესახვევი N73-75-75-75ბ/ჰელიმიშის ქ.N70-ში (ს/კ. 05.32.13.309 05.32.13.503. 05.32.13.504 05.32.01.783. 05.32.13.308) დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი გაიზარდოს 15,0-მდე.

2. განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების შედეგად შენობა-ნაგებობის გაზრდილი ფართობის არანაკლებ 10%-სა, სასარგებლო ფართობის სახით, დარეგისტრირდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და გამოყენებულ იქნას სოციალური მიზნით, მიმდებარე და სხვა ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებისთვის.

3. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდგომი ღონისძიებები.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე